ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

ნერილის ნომერი: **17-01242421545**
თარიღი: **29/08/2024**

ადრესატი: შპს ვერძი 97
საიდენტიფიგაციო ნომერი: 209452518
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონში, სარაჯიშვილის გამზ,№39

ბატონო მალხაზ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში 2024 წლის 13 აგვისტოს შემოსული თქვენი №10/0124226497-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გამზირი სარაჯიშვილი, №39, (ნაკვეთი №19/4), №01.11.05.019.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განთავსებულ მსუბუქი კონსტრუქციის ჯიხურსა და გათხევადებულ ნახშირწყალბადიან სადგურთან (გაზის ორი რეზერვუარი და დისპენსერი) დაკავშირებით, სამსახურის სპეციალისტის მიერ 2020 წლის 17 ივლისს გაიცა №000655 მითითება, რომლითაც სამართალდამრღვევს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად, ან ობიექტების დემონტაჟის განსახორციელებლად, უსაფრთხოების წესების დაცვით.

2020 წლის 10 აგვისტოს, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №000655 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2020 წლის 7 ოქტომბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. სხდომაზე გამოცხადდა მხარე, რომელმაც განაცხადა რომ აღნიშნული ობიექტები განთავსებული იყო არა მის მიერ, არამედ სხვა პირის მიერ. სხდომაზე მხარესთან ერთად გამოცხადდა მესამე პირი, რომელმაც დაადასტურა, რომ ობიექტები მის მიერ იყო განთავსებული და მოითხოვა არსებული საქმის წარმოების შეწყვეტა თავდაპირველი შესაძლო სამართალდამრღვევის მიმართ და ახალი წარმოების დაწყება მის მიმართ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის 2020 წლის 9 ოქტომბრის №4-3/გ296-გ/20 ბრძანებით საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 2020 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2020 წლის 9 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შესრულდა 2020 წლის 17 ივლისის №000655 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, განხორციელდა ობიექტების დემონტაჟი.

შესაბამისად, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

ობის კოდექსი“-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ პუნქტის საუძველზე 2020 წლის 9 დეკემბრის №000655 დადგენილებით შეწყვეტილ იქნა მიმდინარე საქმის წარმოება.

რაც შეეხება საქმის წარმოების მასალების მიწოდებას, ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამართალდამრღვევის პერსონალური მონაცემის გაცემასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

მამუკა ჯაყელი

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე

დოკუმენტი დამზადებულია ელექტრონული სერვისების მართვის სააგენტოში
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
022
405026877

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი